სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N149/ბ

ქ. თბილისი „24 “ „11“ 2020 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შემდგომში „შემსყიდველი“, მინისტრის მოადგილის გიორგი წოწკოლაურის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,გრინ სისტემს“ შემდგომში “მიმწოდებელი“, დირექტორის ლევან ჩაჩუას სახით.

2. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

2.1. შემსყიდველმა განახორციელა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT200017076), ,,ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავებისა და მართვის“ 2020 წლის ასიგნებების ფარგლებში, ქსელის მარშრუტიზატორების შესყიდვაზე (CPV კოდი: 32413100) და ,,მიმწოდებელმა“ აიღო ვალდებულება მიაწოდეოს შემსყიდველს აღნიშნული საქონელი - 83 093 (ოთხმოცდასამი ათას ოთხმოცდაცამეტი) ლარად, დ.ღ.გ-ს გათვალისწინებით (შემდგომში ,,ხელშეკრულების ღირებულება“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. მოსაწოდებელი საქონლის აღწერილობა, ღირებულება და ტექნიკური მონაცემები განისაზღვრება ელექტრონულ ტენდერში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი თანდართული დოკუმენტების დანართი N1-ის (ფასების ცხრილი) და დანართი N2-ის (ხმოვანი მარშრუტიზატორის ტექნიკური მონაცემები) შესაბამისად, რომლებიც წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. საქონლის მოწოდების პირობები:

4.1. ვადები:

4.1.1. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის მიწოდება და ინსტალაცია ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 70 კალენდარული დღის განმავლობაში.

4.2. ადგილი:

4.2.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი N144.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება, ფაქტიურად მოწოდებული საქონლის და გაწეული მომსახურების მიხედვით, წინამდებარე ხელშეკრულების 16.1 პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირის მიერ მომზადებული ინსპექტირების აქტის საფუძველზე შედგენილი მიღება–ჩაბარების აქტით.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშწორების ფორმა - უნაღდო ანგარიშსწორება ლარში;

6.2. გამოიყენება წინასწარი ანგარიშსწორების ფორმა, წინასწარი ანგარიშსწორება განხორციელდება წინასწარი გადახდით სახელშეკრულებო ღირებულების 100%-ის ოდენობით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ოდენობის უპირობო გამოუთხოვადი საბანკო (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული ბანკის მიერ გაცემული) ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“-ს მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული საავანსო გარანტიის საფუძველზე. საავანსო გარანტიის მოქმედების ვადა 3 (სამი) თვით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მოწოდების საბოლოო ვადას.

7. მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1. უზრუნველყოს ,,შემსყიდველისათვის“ საქონლის მიწოდება დროულად და ხარისხიანად;

7.1.2. დროულად უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით (ტრანსპორტირების ხარჯის ჩათვლით);
7.1.3. დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.1.4. შეასრულოს სატენდერო პირობებით (ტექნიკური დოკუმენტაცია) განსაზღვრული მოთხოვნები;
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

8. მხარეთა უფლება
8.1. „მიმწოდებელს” უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს” უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მოწოდებული საქონლის ხარისხის და მოცულობის კონტროლი;
8.2.2 ცალხმრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურების დაცვის გარეშე, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

9. გარანტია.
9.1. მოწოდებულ საქონელზე ვრცელდება მწარმოებლის ერთ წლიანი საგარანტიო მომსახურეობა, ტექნიკური მხარდაჭერა და პროგრამული უზრუნველყოფის განახლება.
9.2. მოწყობილობის დაზიანების მიზეზის დადგენის შემდეგ, მოწყობილობა უნდა შეკეთდეს ან შეცვალოს შემდეგ სამუშაო დღეს (დანართი N3-ის შესაბამისად).

10. ფორს-მაჟორი
10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.2. ამ ხელშეკრულებაში „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების ცვლილება
11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა

11.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
11.4 დაუშვებელია ერთეულის ფასის ისეთი ცვლილება, რომელიც გამოიწვევს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდას.
11.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა
13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებით.
13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შემლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია კანონით დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით.
14.2. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (მათ შორის ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს და ნაკლიანი შესრულების შემთხვევაში) შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო (ნაკლიანი შესრულების შემთხვევაში - ნაკლის სრულად აღმოფხვრამდე) ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ვალდებულების შესრულებამდე.
14.3. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 5%-ის ოდენობით.
14.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.5. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა
15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალხმრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურების დაცვის გარეშე, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
15.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.
15.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

16. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

16.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირი: სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ინფორმაციული ტექნოლოგიების პოლიტიკისა და ინფრასტრუქტურის ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი - ირაკლი ელიაშვილი.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.

17.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2021 წლის 31 მარტის ჩათვლით.

17.3. ხელშეკრულების მე-9 მუხლთან მიმართებაში ხელშეკრულების მოქმედების ვადა გრძელდება საგარანტიო პირობების ამოწურვამდე.

18. განსაკუთრებული პირობები

18.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილი და ხელმოწერილია ელექტრონულად (დოკუმენტზე შესრულებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და დოკუმენტი დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპით).

19. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო
ქ. თბილისი, 0119, აკაკი წერეთლის
გამზირი №144.
საიდენტიფიკაციო კოდი: 202486559
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ა/ა N200122900

_____
გიორგი წოწკოლაური
მინისტრის მოადგილე

Digitally signed by Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia
Date: 2020.11.24 12:13:32 +04'00'

„მიმწოდებელი“
შპს „გრინ სისტემს“
ქ. თბილისი, ვაკის რაიონი,
ჭავჭავაძის გამზირი N75.
საიდენტიფიკაციო კოდი:
404862190
ს.ს. „ბაზის ბანკი“
ბანკის კოდი: CBASGE22
ა/ა GE07BS0000000080136781

_____
ლევან ჩაჩუა
დირექტორი

Green Systems LLC

Digitally signed by Green Systems LLC
DN: cn=Green Systems LLC, 2.5.4.97=NTRGE-404862190, o=••• •••• •••••••, c=GE
Date: 2020.11.24 12:12:21 +04'00'

დანართი N1

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება *მპს გრინ სისტემს*

#	საქონლის დასახელება და მოდელი	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა	მწარმოებელი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა
1	ISR4331-V/K9 (Cisco ISR 4331 UC Bundle, PVDM4-32, UC License)	დეტალური მახასიათებლები დანართი #2	ჩინეთი	CISCO	2	41 546.50 ლარი	83 093.00 ლარი	70 კალენდარული დღე

სატენდერო წინადადების ფასი *ოთხმოცდასამი ათას ოთხმოცდაცამეტი ლარი და ნული თეთრი*

- საქონლის მიწოდება და ინსტალაცია განხორციელდება ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი N144.
- ხმოვანი მარშრუტიზატორის სატელეფონო სადგურთან სრული თავსებადობის დოკუმენტი: https://www.cisco.com/c/dam/en/us/td/docs/voice_ip_comm/uc_system/unified/communications/system/Compatibility/CSR-Compatibility-Matrix-InteractiveHTML.html

დანართი #2

ხმოვანი მარშრუტიზატორის ტექნიკური მონაცემები

Part Number	Part Description	Qty
ISR4331-V/K9	Cisco ISR 4331 UC Bundle, PVDM4-32, UC License	2
CON-SNT-ISR4331V	SNTC-8X5XNBD Cisco ISR 4331 UC Bundle, PVDM4-32, UC L	2
MEM-4300-4GU8G	4G to 8G DRAM Upgrade (4G+4G) for Cisco ISR 4330,4350	2
MEM-FLSH-4U8G	4G to 8G eUSB Flash Memory Upgrade for Cisco ISR 4300	2
NIM-2MFT-T1/E1	2 port Multiflex Trunk Voice/Clear-channel Data T1/E1 Module	2
PVDM4-64	64-channel DSP module	2
NIM-2MFT-T1/E1	2 port Multiflex Trunk Voice/Clear-channel Data T1/E1 Module	2
PVDM4-64	64-channel DSP module	2

1. მარშრუტიზატორი არის მულტისერვისული და გააჩნია:
   a. **ხმოვანი მარშრუტიზატორის მხარდაჭერა:**
      i. შეუძლია ხმოვანი სიგნალიზაციის (SIP, H323, MGCP) ოქმებით განხორციელებული ზარების მარშრუტიზაცია და დაკომპლექტებულია შესაბამისი ლიცეზნიით;
      ii. შეუძლია ხმოვანი სიგნალიზაციის (SIP, H323, MGCP) ოქმების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
      iii. დაკომპლექტებულია DSP მოდულით, რომლის საშუალებით შესაძლებელია ხმოვანი კოდეკების ტრანსლირება და DTMF -ის კონვერტირება. აღნიშნული DSP მოდული არის 32 არხიანი და დამონტაჟებულია დედაპლატაზე;
2. ინტერფეისები:
   a. ქსელური ინტერფეისების რაოდენობა 3(სამი)10/100/1000მბ/წმ წარმადობის:
      i. მათ შორის - 2 (ორი) Rj-45 ტიპის, 2 (ორი) SFP ტიპის; (ორმაგი დანიშნულების);
   b. მარშრუტიზატორი დაკომპლექტებულია 2 (ორი) ცალი 2-პორტიანი E1/T1 ინტერფეისის მქონე მოდულით. თითოეული E1/T1 ინტერფეისის მქონე მოდული დაკომპლექტებულია არხების შესაბამისი რაოდენობის მქონე, ამავე მოდულზე დამონტაჟებული, DSP მოდულით.
3. მარშრუტიზატორის წარმადობა 100მბ. მომავალში მხოლოდ პროგრამული ლიცენზიის დამატებით შესაძლებელია მარშრუტიზატორის წარმადობის გაზრდა 300მბ მდე.
4. DRAM ტიპის მეხსიერება 8გბ. მომავალში გაფართოებადი 16გბ მდე.
5. FLASH ტიპის მეხსიერება 8გბ. მომავალში გაფართოებადი 16გბ მდე.
6. მარშრუტიზატორს გააჩნია შემდეგი QoS ტექნოლოგიების მხარდაჭერა: HQoS,

Classification, marking, Weighted Random Early Detection (WRED), policing, shaping, priority, and Class-Based Weighted Fair Queuing (CBWFQ) scheduling;

7. საკუთრივ მარშრუტიზატორს გააჩნია სპეციალური დიაგნოსტიკური საშუალება, რომლის მეშვეობითაც ადმინისტრატორს შეუძლია: ტრანზიტული, მოწყობილობაზე მიმართული და მოწყობილობიდან გამოსული ტრაფიკის შეგროვება. შეგროვებული ტრაფიკის ანალიზი შესაძლებელია ლოკალურად ან მისი ექსპორტირებით გარე სამუშაო სადგურზე. შეგროვებული ტრაფიკის ანალიზი შესაძლებელია Wireshark პროგრამული უზრუნველყოფით;
8. მარშრუტიზატორს გააჩნია syslog, NetFlow, SNMP, RMON და IPFIX ოქმების მხარდაჭერა;
9. მარშრუტიზატორს გააჩნია შემდეგი მარშრუტიზაციის ოქმების მხარდაჭერა: EIGRP, EIGRP IPv6, OSFP, OSFPv3, IS-IS, IS-IS IPV6, BGP, BGP Route Reflector, BGP IPv6, BFD, PBR;
10. კვება AC ტიპის
11. ზომა 1R

დანართი N3

ინფორმაცია საგარანტიო პირობების შესახებ

მოწოდებულ საქონელზე ვრცელდება მწარმოებლის ერთ წლიანი საგარანტიო მომსახურეობა, ტექნიკური მხარდაჭერა და პროგრამული უზრუნველყოფის განახლება. მოწყობილობის დაზიანების მიზეზის დადგენის შემდეგ, მოწყობილობა შეკეთდება ან შეიცვლება ახლით შემდეგ სამუშაო დღეს.

პრეტენდენტის დასახელება: შპს გრინ სისტემს